

პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2012 წელს



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
შპს "ოპენ სოცაიტი ჯორჯია ფაუნდეიშნი"

პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2012 წელს

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

აპრილი 2013

ანგარიშზე მუშაობდნენ:

ირინე ურუშაძე

ნინო შაინიძე

დარიკო შარაშიძე

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და ის შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES), USAID-ის და აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

ანგარიში მომზადდა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

მიმოხილვა.....	2
I. შემოსავლები.....	4
1. სახელმწიფო დაფინანსება.....	5
2. საწევრო შენატანები.....	7
3. შემოწირულობები.....	8
II. ხარჯები.....	14
1. შრომის ანაზღაურება.....	16
2. მივლინებები.....	17
3. ოფისისა და კომუნიკაციის ხარჯები.....	17
4. მომსახურების ხარჯები.....	18
5. რეკლამის ხარჯი.....	19
6. სხვა ხარჯები.....	20
III. ძირითადი მიგნებები, ტენდენციები და რეკომენდაციები.....	21
1. მარეგულირებელი ორგანო.....	21
1.1. პასიური და შერჩევითი რეაგირება.....	21
1.2. დაკავშირებული პირები.....	23
2. შემომწირველები და შემოწირულობები.....	23
2.1. სოციალურად დაუცველი შემომწირველები.....	23
2.2. შემოწირულობები ბიზნესიდან.....	25
3. ანგარიშგების ფორმა.....	26
3.1. ხარვეზები ანგარიშგების შემოსავლების ნაწილში.....	27
3.2. ხარვეზები ანგარიშგების ხარჯების ნაწილში.....	27
3.3. ანგარიშგების ფორმატი.....	28
დანართი.....	30

მიმოხილვა

ეს კვლევა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობასთან და მათ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებს მიმოიხილავს. მასში მოცემულია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი 2012 წლის ფინანსური დეკლარაციების მიხედვით¹, კვლევისას გამოკვეთილი ტენდენციები კი 2007–2011 წლების დეკლარაციებში მოყვანილ მონაცემებთანაა შედარებული. კვლევისათვის ის პოლიტიკური გაერთიანებები შეირჩა, რომლებმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის ფარგლებში ხმების 1%-ზე მეტი მოაგროვეს:

1. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
2. კონსერვატიული პარტია;
3. თავისუფალი დემოკრატები;
4. ქართული ოცნება;
5. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს;
6. რესპუბლიკური პარტია;
7. ეროვნული ფორუმი;
8. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;
9. ლეიბორისტული პარტია.

ანგარიში სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: **პირველი** თავი მიმოიხილავს პოლიტიკური პარტიების შემოსავლებს, ხოლო **მეორე** თავი – ხარჯებს. **ბოლო** თავში შეჯამებულია კვლევის ძირითადი მიგნებები და ტენდენციები, ასევე წარმოდგენილია არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭირო რეკომენდაციები.

2012 წლის დეკლარაციების კვლევისას გამოიკვეთა ტენდენცია, რომ პოლიტიკური პარტიები შემოსავლის უდიდეს ნაწილს სახელმწიფო დაფინანსებისა და შემოწირულობების სახით იღებენ. ამჯერად შემომწირველები მხოლოდ ფიზიკური პირები იყვნენ, რადგანაც იურიდიული პირებისაგან შემომწირულობების მიღება კანონით აიკრძალა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ხელთ არსებულ მონაცემთა ანალიზით დადგინდა, რომ *ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* 397, *ქართული ოცნების* 33 და სხვა პოლიტიკური გაერთიანებების 10-მდე შემომწირველს გარკვეული კავშირი აქვს ბიზნესთან. რაც შეეხება ხარჯებს, მათი განაწილება პარტიებს დივერსიფიცირებული აქვთ. ხარჯების ძირითადი წილი ოფისისა და კომუნიკაციის ხარჯებზე, რეკლამის ხარჯსა და შრომის ანაზღაურებაზე მოდის.

¹ პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური დეკლარაციები შეგიძლიათ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე: http://sao.ge/?action=page&p_id=395&lang=geo

როგორც კვლევამ ცხადყო, წლიური დაფინანსებისა და ხარჯვის შესახებ კანონმდებლობა წინა პერიოდებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული, თუმცა მაინც იკვეთება სერიოზული პრობლემები. 2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებამდე არ არსებობდა ფინანსური დეკლარაციის ფორმები და მარეგულირებელი ორგანო, რაც ვერ უზრუნველყოფდა სათანადო გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. დეკლარაციის ფორმებმა პრობლემები საგრძნობლად შეამცირა, თუმცა გარკვეული საკითხები კვლავ საჭიროებს გადანყვეტას. რაც შეეხება მარეგულირებელ ორგანოს, სამწუხაროა, რომ მისი საქმიანობა პოლიტიკური ანგარიშსწორება უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯვის მონიტორინგის განხორციელება. არაერთხელ დაფიქსირდა ამ ორგანოს მიკერძოებული, შერჩევითი მიდგომა², ზოგ შემთხვევაში კი იგი ყურადღებას არც აქცევდა მაშინდელი მმართველი გუნდის საქმიანობას. რაც შეეხება წლიური დეკლარაციების გადამოწმებას, მიუხედავად არაერთი ხარვეზისა, რომლებიც პოლიტიკურ პარტიებს ანგარიშებში ჰქონდათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს რეაგირება დღემდე არ მოუხდენია.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკურ პარტიასთან „დაკავშირებულ პირად“ ცნობილი სუბიექტების, მათ შორის, ააიპ „საქართველო არ იყიდება“³ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“, წლიური ანგარიშები არ გამოაქვეყნა, რითაც კანონი დაირღვა.

დადებითად უნდა შეფასდეს დეკლარაციის დეტალიზება, განსაკუთრებით ხარჯების კუთხით, რადგან ფაქტობრივად არ რჩება ხარჯი, რომელიც კლასიფიცირებული არ არის. გარდა ამისა, ამა თუ იმ ტიპის ხარჯების შესახებ ინფორმაცია კიდევ უფრო დეტალურადაა მოცემული და თითოეული გასავალი აღნუსხულია საჯარო ანგარიშგებაში. მეორე მხრივ, კლასიფიცირებული არ არის შემოსავლის ნაწილი და, 2011 წლის მსგავსად, კვლავ არსებობს შესაძლებლობა, რომ პოლიტიკური პარტიის მიერ მოზიდული თანხების წარმომავლობა ბუნდოვანი იყოს. ამასთანავე, სასურველია, დეტალურად გაიწეროს ამომრჩევლისათვის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და პარტიისათვის მსხვილი ხარჯი (მაგალითად, რეკლამის).

² დეტალური ინფორმაციისათვის ასევე იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშები:


<http://transparency.ge/post/report/new-ti-georgia-report-pre-election-environment-geo>;
<http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-tsinasaarchevno-monitoringis-shedegebi>;
<http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011>;
<http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi>

³ ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხილეთ ბლოგი: <http://transparency.ge/blog/sakartvelo-ar-iqideba-s-da-mmartveli-partiis-ukanono-garigeba>

I. შემოსავლები

კვლევის ამ ნაწილში მიმოხილულია პოლიტიკური პარტიების შემოსავლების ძირითადი კატეგორიები: 1. სახელმწიფო დაფინანსება; 2. საწევრო შენატანები; 3. შემოწირულებები. საუბარია 2012 წლის შემოსავლებზე, რომლებიც 2007–2011 წლების მონაცემებთან არის შედარებული.

დიაგრამა №1. პოლიტიკური პარტიების მიერ 2012 წელს მიღებული შემოსავლები



აღსანიშნავია, რომ 2012 წლის ფინანსური დეკლარაციები მოიცავს პერიოდს 2011 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 1 ნოემბრამდე. ამასთანავე, 2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებამდე მოქმედებდა პოლიტიკური გაერთიანების დაფინანსების განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც 2012 წლის დეკლარაციებში ასახული ფინანსების გარკვეულ ნაწილსაც შეეხება. კერძოდ, პარტიის ქონება და შემოსავალი შედგებოდა: ა) საწევრო შენატანებისაგან; ბ) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულებებისაგან, თითოეული არა უმეტეს შესაბამისად 30 000 ლარისა და 100 000 ლარისა; გ) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებისაგან; დ) კანონით დაშვებული სხვა საქმიანობიდან (პარტიის

სიმბოლოების დამზადება და გავრცელება, ლექსებისა და გამოფენების მოწყობა, საგამომცემლო საქმიანობა, საჯარო ღონიძირებები და სხვა) მიღებული სახსრებისაგან⁴.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანულ კანონში 2011 წლის 28 დეკემბერს შეტანილი [ცვლილებით](#)⁵ დაწესდა საწევრო შენატანების წლიური ოდენობის ზედა ზღვარი – 1 200 ლარი; იურიდიულ პირს შემოწირულების განხორციელება აეკრძალა; ფიზიკური პირის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებულ შემოწირულებათა საერთო ოდენობის ზედა ზღვარი 60 000 ლარამდე გაიზარდა; დაწესდა სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავლების წლიური ოდენობის ზედა ზღვარი – 60 000 ლარი. იმავე კანონში 2012 წლის 8 მაისს შეტანილი [ცვლილებით](#)⁶ სახელმწიფო დაფინანსებას დაემატა მიზნობრივი დაფინანსება საარჩევნო წელს სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად.

1. სახელმწიფო დაფინანსება

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, პოლიტიკური გაერთიანებების მიერ სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების სამი საშუალება არსებობს: 1) თანხის პირდაპირ პარტიებისთვის გადაცემა⁷; 2) თანხის საარჩევნო სისტემების

⁴ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 31 ოქტომბრის №1028-III ორგანული კანონის (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997) (შემდგომ – „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი) 2011 წლის 28 დეკემბრის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის III თავი.


⁵ საქართველოს 2011 წლის 28 დეკემბრის №5661-რს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე – https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1542609

⁶ საქართველოს 2012 წლის 8 მაისის №6116-III ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე – https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1661429

⁷ პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსება გაიანგარიშება ფორმულით, რომლის თანახმადაც, საბაზო დაფინანსებას ემატება დამატებითი დაფინანსება პარლამენტში მოპოვებული მანდატებისა და არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ეს ფორმულაა: $Z=B+(M*600*12)+(L*100*12)+(V*1,5)+(W*1)$, სადაც Z არის პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა; B – საბაზო დაფინანსების ოდენობა; M – პროპორციული სისტემით არჩეული 30 და 30-მდე პარლამენტის წევრთა რაოდენობა; L – პროპორციული სისტემით არჩეული 30 წევრის ზემოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობა; V – 200 000 ამომრჩევლამდე მიღებული ხმების ოდენობა; W – 200 000 ამომრჩევლის ზემოთ მიღებული ხმების ოდენობა. იმავე მუხლის მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს ის პარტია, რომელმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახა 4%-იანი ბარიერი ან უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში – 3%-იანი ბარიერი; საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში არის 150 000 ლარი; თუ საარჩევნო სუბიექტი (პარტია/საარჩევნო ბლოკი) უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახავს 8%-იან ბარიერს ან

განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მეშვეობით⁸ პარტიებისთვის განაწილება⁹; 3) პარტიებისთვის მხოლოდ საარჩევნო წელს სატელევიზიო რეკლამისათვის მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფა¹⁰.

დიაგრამა №2. პოლიტიკური პარტიების მიერ სახელმწიფოსგან 2007–2012 წლებში მიღებული დაფინანსება



უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში – 6%-იან ბარიერს, საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში იქნება 300 000 ლარი.

⁸ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30¹ მუხლის პირველი პუნქტი. ცენტრის მიზანია პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

⁹ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 29¹ მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტი. ამ პუნქტით გათვალისწინებულ თანხებს მიიღებენ მხოლოდ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც დაფინანსებას იღებენ უკანასკნელი საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით. ამ პუნქტის შესაბამისად პოლიტიკური გაერთიანებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობის გაანგარიშების მიზნით შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება სამზე და იყოფა საარჩევნო სუბიექტში შემაჯავლი პოლიტიკური გაერთიანებების რაოდენობაზე. ამასთანავე, ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის (საარჩევნო სუბიექტში შემაჯავლი პოლიტიკური გაერთიანებებისათვის ჯამურად) განკუთვნილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს.

საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, 2009 წლიდან პარტიები საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისგან დამატებით დაფინანსებას იღებენ. თანხა პარტიებზე საბაზო დაფინანსების¹¹ პროპორციულად ნაწილდება¹². აქედან გამომდინარე, 2007–2012 წლებში *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა*ს ყველაზე მეტი დაფინანსება ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ საბაზო დაფინანსების დიფერენცირების წყალობით 300 000 ლარს იღებდნენ 2012 წლის ჩათვლით *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* და *ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა*, რამდენადაც მათ საპარლამენტო არჩევნებში 8%-იანი ბარიერი გადალახეს. საბაზო დაფინანსების სახით 300 000 ლარი ასევე გაიცემოდა *გაერთიანებული ოპოზიციის*¹³ ბლოკში შემავალ პარტიებზე, თუმცა, ვინაიდან დაფინანსება ბლოკში შემავალ პარტიებზე თანაბრად ნაწილდება, მათ ზემოხსენებულ ორ პოლიტიკურ გაერთიანებაზე ნაკლები თანხები აქვთ. საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი თანხას მხოლოდ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით გასცემს (*იხილეთ დანართი №1 დიაგრამა*).

2. საწევრო შენატანები

საწევრო შენატანებიც პარტიის ქონების ნაწილია. 2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებამდე საწევრო შენატანის განხორციელება დეტალურად არ რეგულირდებოდა და შეზღუდვები არ არსებობდა. ამ ცვლილებით დანესდა საწევრო შენატანების წლიური ოდენობის ზედა ზღვარი – 1 200 ლარი¹⁴. ეს ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, რამდენადაც საწევრო შენატანის ოდენობის ზღვრის არარსებობა შეიძლებოდა შემოწირულების მარეგულირებელი ნორმებისათვის გვერდის ასავლელად ყოფილიყო გამოყენებული. მართალია, 2007–2011 წლებში ამ გზით უკანონო შემოწირულებების მიღება არ დაფიქსირებულა, მაგრამ რამდენიმე პოლიტიკურ გაერთიანებას არ ჰქონდა

¹¹ საბაზო დაფინანსება არის ფიქსირებული თანხა, რომელიც პარტიებს პირდაპირი დაფინანსების ფარგლებში დამატებით დაფინანსებასთან ერთად გადაეცემათ. იხილეთ სქოლიო 5.

¹² „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30¹ მუხლის მე-8 პუნქტი.

¹³ ბლოკში შემავალი პარტიები იყვნენ: კონსერვატიული პარტია, ახალი მემარჯვენეები, თავისუფლება, სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა, ჩვენ თვითონ, ხალხის პარტია, მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის, ქართული დასი, ეროვნული ფორუმი.

¹⁴ ეუთოს მონიტორინგის მეორე რაუნდის მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, საწევრო შენატანის ოდენობაზე შეზღუდვა არ არსებობს, რაც შემოწირულებების ზედა ზღვრისთვის თავის არიდების და უკანონო შემოწირულებების განხორციელების საშუალებას იძლევა (რეკომენდაცია 3.7). რეკომენდაციის IV პუნქტის თანახმად, პარტიის დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია საწევრო შენატანის ზედა ზღვრის დანესება: www.oecd.org/dataoecd/8/6/44997416.pdf. ანალოგიური რეკომენდაციაა მოცემული GRECO-ს (სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ) 2011 წლის შეფასებაში: Council of Europe, Group of States against Corruption – GRECO, Evaluation Report on Georgia on transparency of party funding (Greco Eval III Rep (2010) 12 E; Theme II) (პარაგრაფი 67).

იდენტიფიცირებული საწევრო შენატანების წყარო და მიღების პერიოდი, რაც ასევე მარეგულირებელი ნორმების სიმწირით იყო გამოწვეული. მეორე მხრივ, საწევრო შენატანის ოდენობა შემოწირულების ოდენობაზე საგრძნობლად ნაკლები არ უნდა იყოს. სასურველია, პარტიას ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისი წევრებისაგან ისე მოიზიდოს თანხა, რომ მათთვის უფრო მიზანშეწონილი არ აღმოჩნდეს ამ თანხის პარტიის ანგარიშზე შემოწირულების განხორციელების გზით შეტანა.

აღსანიშნავია, რომ 2007-2010 წლების განმავლობაში საწევრო შენატანების გზით შემოსავალს მხოლოდ რამდენიმე პარტია იღებდა და ეს თანხა, იშვიათი გამონაკლისების გარდა, პარტიის წლიური შემოსავლის მცირე ნაწილი – 5–10% – იყო. 2011 წელს საწევრო შენატანები (შემოსავლის 2% – 13 748 ლარი) მხოლოდ *ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ* მიიღო, 2012 წელს კი საწევრო შენატანებზე 4 პარტიის შემოსავლის გარკვეული წილი მოდიოდა, თუმცა ამ თანხებმა მათი მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 1-2% შეადგინა.

დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართის №2 დიაგრამა.

3. შემოწირულებები

2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებამ ძირეულად შეცვალა შემოწირულებების მიღების მარეგულირებელი ნორმები¹⁵. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იურიდიული პირებისათვის პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების აკრძალვა იყო.

ის, რომ შემომწირველი ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციაში რეგისტრაციის ადგილის მისამართის მითითება სავალდებულო აღარ არის, ხელს უშლის ფინანსური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

2012 წლის 8 მაისის საკანონმდებლო ცვლილებით კი გამჭვირვალობის სტანდარტებიც შეიცვალა. კერძოდ, შემომწირველი ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციაში რეგისტრაციის ადგილის მისამართის მითითება სავალდებულო აღარ არის. მიგვაჩნია, რომ ეს ცვლილება ხელს უშლის ფინანსური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას. ამ მიზნის მისაღწევად პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა იდენტიფიცირება სრულად უნდა იყოს შესაძლებელი, რადგანაც საზოგადოებაში შესაძლოა არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზოგიერთი შემოწირულება ფიქსიურია. ასეთი ფაქტები წინა წლებში რამდენიმეჯერ დადასტურდა. საინტერესოა, რომ დეკლარაციაში შემომწირველის პირადი ნომერი კვლავ

¹⁵ დეტალური შედარებისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიში პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს: <http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011>

მიეთითება, რის საფუძველზედაც გარკვეული ინფორმაციის, მათ შორის, მისამართის, მოძიება მაინც შესაძლებელი რჩება, თუმცა კარგი იქნება, თუ ფინანსურ ანგარიშში მისამართი პირდაპირ იქნება მითითებული და დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მისაღებად სხვადასხვა შემოვლითი მექანიზმის გამოყენება არ მოუწევთ.

2007-2010 წლების განმავლობაში პოლიტიკური გაერთიანებების შემოსავლის მთავარ (და ხშირად ერთადერთ) წყაროდ სახელმწიფო დაფინანსება რჩებოდა. 2012 წელს ასეთი წყარო შემოწირულებები აღმოჩნდა. პარტიებმა თანხების საშუალოდ 58% სწორედ ამ გზით მიიღეს.


როგორც აღინიშნა, 2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით იურიდიული პირებისაგან შემოწირულებების მიღება აიკრძალა, თუმცა, რადგან 2012 წლის დეკლარაციები ეხება პერიოდს 2011 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 1 ნოემბრამდე, მათში იურიდიული პირების შემოწირულებებიც მოხვდა¹⁶.

რაც შეეხება ფიზიკური პირებისაგან შემოწირულებების მიღების ტენდენციას, 2012 წელი¹⁷ ამ მხრივ განსაკუთრებული იყო. 2007-2010 წლების განმავლობაში პოლიტიკური გაერთიანებების შემოსავლის მთავარ (და ხშირად ერთადერთ) წყაროდ სახელმწიფო დაფინანსება რჩებოდა. 2012 წელს ასეთი წყარო შემოწირულებები აღმოჩნდა. პარტიებმა თანხების საშუალოდ 58% სწორედ ამ გზით მიიღეს. ქართული ოცნების შემოსავლის 91%-ს, კონსერვატიული პარტიის შემოსავლის 86%-ს და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემოსავლის 85%-ს შემოწირულებები შეადგენდა.

¹⁶ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიში პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს: <http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011>

¹⁷ 2007–2011 წლებში მიღებული შემოწირულებებისა შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართის №3 ლიაგრამაში.

დიაგრამა №3. პოლიტიკური პარტიების მიერ 2012 წელს მიღებული შემოწირულებები (ლარი)




აღსანიშნავია, რომ წინა წლების განმავლობაში შემოწირულებების ოდენობა საარჩევნო აქტივობაზე იყო დამოკიდებული. კერძოდ, არასაარჩევნო წელს პარტიები შემოწირულებებს თითქმის არ იღებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებული გამოწვევის იყო 2011 წელი, რომლის ბოლოსაც პარტიებს უკვე საკმაოდ ბევრი შემოწირულება ჰქონდათ მიღებული. ეს ტენდენცია არჩევნებზე მეტად, სავარაუდოდ, იმასთან იყო დაკავშირებული, რომ 2012 წლიდან იურიდიული პირების მიერ შემოწირულებების განხორციელება იკრძალებოდა¹⁸, და პარტიები ცდილობდნენ, მოეწარმოებინათ შემოსავლის ამ გზით მიღება. 2012 წელს მოზიდულ თანხებზე დაკვირვებით იკვეთება ტენდენცია, რომ პარტიებს შემოწირულებები საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ჰქონდათ მიღებული და ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური გაზაფხულის ბოლო პერიოდი და ზაფხული იყო. წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებიდან (1 აგვისტოდან) კი, როგორც ჩანს, შემოწირულებები უკვე უშუალოდ საარჩევნო კამპანიის ფონდებში განხორციელდა¹⁹.

¹⁸ იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შემოწირულებების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიში პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს: <http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011>

¹⁹ საარჩევნო კამპანიის ფონდების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიში საარჩევნო კამპანიის ფინანსების ანალიზი: <http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi>

დიაგრამა №4. პოლიტიკური პარტიების შემომწირულებები თვეების მიხედვით 2012 წელს (ათასი ლარი)



აღსანიშნავია, რომ 2010 და 2011 წლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და მედიასაშუალებებმა²⁰ რამდენიმე მსხვილი შემომწირველი ფიზიკური პირი გადაამოწმეს. ზოგიერთმა მათგანმა უარყო შემომწირულების განხორციელება.

2012 წლის ფინანსური დეკლარაციების ამ სახით გადამოწმება გართულდა, ვინაიდან მათში შემომწირველთა მისამართები მითითებული არ არის. 2012 წელს პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შემომწირველთა ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში იყო რეგისტრირებული, რასაც, სავარაუდოდ, უნდა გამოერიცხა მათ მიერ პარტიებისათვის შემომწირულებების განხორციელების შესაძლებლობა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ სცადა რამდენიმე მონაცემის გადამოწმება, მაგრამ, რადგან მისამართები მითითებული არ არის, ბევრ შემთხვევაში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია ზუსტი არ აღმოჩნდა და უშუალოდ შემომწირველებთან გასაუბრება ვერ მოვახერხეთ. რაც შეეხება სოციალურად დაუცველ პირებს, ამ საკითხს ქვემოთ შევხებით.

• ფიზიკური პირების კავშირები კომპანიებთან

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შექმნა სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებითაც პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა შესახებ მონაცემების ანალიზი და მათი სხვადასხვა ტიპის იურიდიულ პირებთან კავშირების დადგენაა შესაძლებელი. სწორედ ამ

²⁰ იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე ანგარიში პოლიტიკური პარტიების საქართველოში: დაფინანსების საკითხები: <http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebi-sakartveloshidapinansebis-sakitkhebi>; იხილეთ ასევე სტუდია GNS-ის „კვირის რეპორტაჟი“ (06/03/11): <http://www.maestro.ge/?address=kviris5&id=3032&page=2>; <http://tspress.ge/ka/site/articles/11206/>

პროგრამის მეშვეობით დადგენილი კავშირებია მოცემული დანართში²¹, რომელიც შეიცავს ინფორმაციას 2011 წლის 1 ნოემბრიდან 2012 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით განხორციელებული შემომწირულებების და მათი ავტორების შესახებ²².

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური გაერთიანებებისათვის შემომწირულებათა განხორციელება იურიდიულ პირებს ეკრძალებათ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იმავეს გაკეთების უფლება მათ მეწილეებს ან აღმასრულებელ პირებს არ აქვთ. ამდენად, ბიზნესი პოლიტიკისაგან თავისუფალი არ არის, ხოლო იურიდიული პირისათვის შემომწირულების აკრძალვა არ გამოირიცხავს ბიზნესის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას. უფრო მეტიც, ასეთი აკრძალვისას პარტიების ფინანსური დეკლარაციების გაცნობით ვერ ვიგებთ, ვინ ღვას ამა თუ იმ შემომწირველის უკან, რეალურად კი შემომწირულების განხორციელება ბიზნესინტერესებთან ხშირად არის დაკავშირებული.

ასე რომ, იურიდიული პირისათვის პარტიის დაფინანსების აკრძალვით ბიზნესი და პოლიტიკა ვერ გაიმიჯნება, რასაც ჩვენ მიერ გამოკვეთილი კავშირებიც ადასტურებს.


ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემომწირველთა 40%-ს და პოლიტიკური გაერთიანების მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს შემომწირველთა 24%-ს გარკვეული კავშირი აქვს ბიზნესთან. სხვა პარტიების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 4-დან 9%-მდე მერყეობს

ჩვენ ხელთ არსებულ მონაცემთა ანალიზით დადგინდა, რომ შემომწირველთა საკმაო ნაწილს ბიზნესკავშირები აქვს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ საჯარო რეესტრის მონაცემები. რადგან ქვემოთ მოყვანილი მასალა მხოლოდ შემომწირველთა ერთ ნაწილს ეხება, იგი სრულ სურათს არ ასახავს. ასეთი ანალიზით ვერ დადგინდებოდა კავშირები, მაგალითად, ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიებთან. საინტერესოა, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემომწირველთა 40%-ს და პოლიტიკური გაერთიანების მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს შემომწირველთა 24%-ს გარკვეული კავშირი აქვს ბიზნესთან. სხვა პარტიების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 4-დან 9%-მდე მერყეობს. მათგან რამდენიმე შემომწირველი ერთ იურიდიულ პირთან არის დაკავშირებული. შემომწირველებსა და იურიდიულ პირებს შორის კავშირის შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი.

²¹ იხილეთ დანართის ცხრილები 1-7.

²² იმავე პროგრამის საშუალებით გაკეთებული ანალიზი 2012 წლის იანვარ-აგვისტოში პოლიტიკური პარტიების შემომწირველებისათვის მოცემულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ვებგვერდზე ბლოგში „რა კავშირებია პოლიტიკურ პარტიების დონორებსა და კომპანიებს შორის?“. <http://transparency.ge/blog/ra-kavshirebia-politikur-partiebis-donorebsa-da-kompaniebs-shoris>
ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიში საარჩევნო კამპანიის ფინანსების ანალიზი: <http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi>

დიაგრამა №5. პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა კავშირი ბიზნესთან



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმ შემომწირველთა დიდ ნაწილს, რომელთაც ბიზნესთან ჰქონდათ კავშირი, 30 000 ლარი ან მეტი აქვს გაღებული პარტიებისათვის. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შემომწირულებების 86% (9 898 000 ლარი) და ქართულმა ოცნებამ შემომწირულებების 76% (276 000 ლარი) სწორედ იურიდიულ პირებთან დაკავშირებული პირებისაგან მიიღეს.

II. ხარჯები

კვლევის ამ ნაწილში მიმოხილულია პოლიტიკური გაერთიანებების ხარჯების ძირითადი კატეგორიები, 2012 წელს პარტიების მიერ თანხების ხარჯვის ძირითადი ტენდენციები 2007–2011 წლებთან შედარებით და სხვა მიგნებები.

2011 წლის დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად შექმნილი ფინანსური დეკლარაციის ფორმები საკმაოდ დეტალურად ასახავს პოლიტიკური გაერთიანებების მიერ გაწეულ ხარჯებს. დეკლარაცია აერთიანებს 50-მდე ტიპის ხარჯს, რომელთა უმრავლესობას პარტიები აქტიურად იყენებენ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ცდილობს, ეტაპობრივად სრულყოს დეკლარაციის ფორმები. ცნობილია ფაქტობრივად ყველა ტიპის ხარჯი, რამდენადაც ფორმა ითვალისწინებს „სხვა ხარჯების“ დამატებით გრაფას, სადაც პარტიები ინდივიდუალურად უთითებენ ისეთ ხარჯებს, რომლებიც ზოგად კლასიფიკაციებში ვერ ექცევა.

დეკლარაციაში დეტალურადაა მოცემული ხელფასის/პრემიის სახით გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია, კონკრეტულად ვინ მიიღო ფულადი სახსრები, რა პერიოდში და რა სამუშაოსთვის. არის ასევე გრაფები სამივლინებო ხარჯებისათვის, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისგან მიღებული სახსრებით გაწეული ხარჯებისათვის, რომლებიც კიდევ უფრო დეტალიზდება შენიშვნაში. ყველაზე მეტად მისასალმებელია

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, წინა წლების მსგავსად, ყველაზე მეტი ხარჯი აქვს გაწეული. ეს, რა თქმა უნდა, იმითაა გამოწვეული, რომ მისი შემოსავლებიც უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისა. მეორე მხრივ, ბევრმა პარტიამ დამატებითი ვალდებულებები აიღო შესასრულებლად, რითაც მიღებულ შემოსავლებზე მეტი ხარჯი გასწია, რაც არ მომხდარა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში, რომელსაც წლის ბოლოს ნაშთად დახარჯულზე მეტი ჰქონდა დარჩენილი.

პოლიტიკური პარტიის დეკლარაციაში ხარჯების ინდივიდუალურად მითითების შესაძლებლობა. კერძოდ, დეკლარაციაში მოცემულია უძრავი ქონების, ავტოტრანსპორტის და სხვა ქონების იჯარის დეტალური გრაფები, რომლებიც, ხელფასის/პრემიის და მივლინების გრაფების


მსგავსად, სრულ ინფორმაციას იძლევა გახარჯულ თანხაზე, კერძოდ, კონკრეტულად რა მიიღო იჯარის სახით პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რა პერიოდით და ვისგან. ეს კი შესაძლებელს ხდის, ზუსტად გადამოწმდეს პარტიის მიერ გაღებული ფინანსური სახსრები, და გამჭვირვალობის ხარისხზედაც დადებითად მოქმედებს. თუმცა ასეთივე დეტალიზება საჭირო ისეთი ტიპის ხარჯებისთვისაც, როგორებიცაა რეკლამის ხარჯი, საარჩევნო სისტემების

განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დაფინანსების ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, წინა წლების მსგავსად, ყველაზე მეტი ხარჯი აქვს გაწეული. ეს, რა თქმა უნდა, იმითაა გამოწვეული, რომ მისი შემოსავლებიც უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისა. მეორე მხრივ, ბევრმა პარტიამ დამატებითი ვალდებულებები აიღო შესასრულებლად, რითაც მიღებულ შემოსავლებზე მეტი ხარჯი გასწია, რაც არ მომხდარა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში, რომელსაც წლის ბოლოს ნაშთად დახარჯულზე მეტი ჰქონდა დარჩენილი.

რადგანაც 2007–2011 წლებში ფინანსური დეკლარაციის ერთიანი ფორმა არ არსებობდა, ამ კვლევის მიზნებისათვის 2012 წლის დეკლარაციებში მოცემული ხარჯები რამდენიმე ძირითად კატეგორიად გავაერთიანეთ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო წლების მიხედვით მონაცემების შედარება. ხარჯების ასეთი კატეგორიებია: ა) შრომის ანაზღაურება; ბ) მივლინებები; გ) ოფისისა და კომუნიკაციის ხარჯები; დ) მომსახურების ხარჯები; ე) რეკლამის ხარჯი (მხოლოდ 2011 და 2012 წლებისათვის); ვ) სხვა ხარჯები²³.

დიაგრამა №6. პოლიტიკური პარტიების ხარჯები 2012 წელს



²³ შესაბამისი კატეგორიის ხარჯების 2011 წლის მონაცემების დეტალებისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ანგარიში პოლიტიკური პარტიების ფინანსები 2011 წელს: <http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011>

1. შრომის ანაზღაურება

2007–2011 წლებში შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები პოლიტიკური გაერთიანებების მთლიანი ხარჯების საშუალოდ 20% იყო. შრომის მთლიანი ანაზღაურება ყველა პარტიისთვის საშუალოდ 100 000 ლარს შეადგენდა. 2012 წელს საშუალო პროცენტული

რამდენიმე პარტიამ შრომის ანაზღაურებისათვის აღრინდელზე საგრძნობლად მეტი თანხა გაიღო.

მაჩვენებელი იგივეა, თუმცა თანხის ოდენობა უფრო მეტია. რამდენიმე პარტიამ შრომის ანაზღაურებისათვის აღრინდელზე საგრძნობლად მეტი თანხა გაიღო. მაგალითად, *ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ* შრომის ანაზღაურებაზე 2012 წელს 768 085 ლარი (მთლიანი ხარჯის 22%) დახარჯა, *ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ* – 400 363 ლარი (მთლიანი ხარჯის 53%), ხოლო *ლეიბორისტულმა პარტიამ* – 192 852 ლარი (მთლიანი ხარჯის 78%); *ქართული ოცნებისა და კონსერვატიული პარტიის* მიერ ხელფასებსა და პრემიებზე დახარჯული სახსრები შესაბამისად 3 750 ლარი და 7 500 ლარი იყო; *ეროვნულ ფორუმს*, როგორც მანამდე, არც 2012 წელს დაუხარჯავს თანხა ამ მიზნით.

2013 წლის იანვრის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია²⁴, რომ *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* საკუთარ აქტივისტებს ხელფასებს საბიუჯეტო სახსრებით უხდიდა, კერძოდ, შპს „თბილსერვისის“ თანამშრომლებად გაფორმებული პირები ყოფილი მმართველი გუნდის აქტივისტები ან მხარდამჭერები იყვნენ. ეს არის სახელმწიფო ფინანსური რესურსების პოლიტიკური მიზნით გამოყენება და იმას მოწმობს, რომ პოლიტიკური პარტიები არ არიან გამიჯნული ხელისუფლებისაგან. მეორე მხრივ, სახელმწიფო ორგანოებისაგან ან/და იურიდიული პირებისაგან შემოწირულობების მიღება აკრძალულია, პარტიის მიზნებისათვის

„თბილსერვისის“ თანამშრომლებად გაფორმებული პირები ყოფილი მმართველი გუნდის აქტივისტები ან მხარდამჭერები იყვნენ. ეს არის სახელმწიფო ფინანსური რესურსების პოლიტიკური მიზნით გამოყენება და იმას მოწმობს, რომ პოლიტიკური პარტიები არ არიან გამიჯნული ხელისუფლებისაგან.

ხელფასების გაცემა კი სწორედ არაფულადი შემოწირულობაა. ამდენად, ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს როგორც შემოწირულობების მიმღებ, ისე განმახორციელებელ პირს.

²⁴ http://www.gurianews.com/index.php?option=com_content&view=article&id=7873:qq--qq--5--&catid=69:2010-11-25-16-48-11&Itemid=114

2. მივლინებები

2007–2011 წლებში პარტიების მთლიან ხარჯებში მივლინებების წილი საშუალოდ 10% იყო, 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი 1%-მდე შემცირდა, რადგანაც ამ მიზნით ხარჯი მხოლოდ 4-მა პარტიამ გასწია, ისიც საგრძნობლად მცირე ოდენობის. მივლინებებისთვის ყველაზე მეტი თანხა – 74 102 ლარი (მთლიანი ხარჯის 5%) – კონსერვატიულმა პარტიამ გამოყო. წინა წლებში მივლინებების წილი ეროვნული ფორუმის ხარჯებშიც საკმაოდ დიდი იყო, თუმცა 2012 წელს ამ მიზნით მან მხოლოდ 1% გამოყო, რაც 3 720 ლარია, 2011 წლის მაჩვენებელზე თითქმის 10-ჯერ ნაკლები. აღსანიშნავია, რომ ამ პოლიტიკურ გაერთიანებებს, როგორც მანამდე, 2012 წელსაც ან საერთოდ არ გაუწევიათ ასეთი ხარჯი, ან იგი 10–15%-ს არ აღემატებოდა.

3. ოფისისა და კომუნიკაციის ხარჯები

2012 წელს ყველაზე მეტი თანხა – მთლიანი ხარჯების საშუალოდ 57% – პარტიებმა ოფისების ფუნქციონირებას (ოფისის იჯარის ხარჯები, ოფისის რემონტის ხარჯები, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის ხარჯები, საკანცელარიო ნივთების შეძენის ხარჯები და სხვა) მოახმარეს. ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანების (კონსერვატიული პარტიის, რესპუბლიკური პარტიის, ეროვნული ფორუმის, ქართული ოცნების) ხარჯი 75%-საც კი აღემატებოდა. მინიმალური მაჩვენებელიც საგრძნობლად გაიზარდა. წინა წლებში ზოგიერთი პარტიის ოფისისა და კომუნიკაციის ხარჯები 10%-საც არ აღწევდა, 2012 წელს კი ამ მიზნით 20% მაინც დაიხარჯა (ლეიბორისტული პარტია). თუ 2011 წელს ხარჯების უდიდესი ნაწილი არაფინანსური აქტივების (სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები, მატერიალური მარაგები) ზრდაზე მოდიოდა, 2012 წელს ხარჯები უმეტესად იჯარის თანხებმა შეადგინა, რომლებიც ხშირად ნახევარ მილიონ ლარზე მეტიც კი იყო.

2012 წელს ყველაზე მეტი თანხა – მთლიანი ხარჯების საშუალოდ 57% – პარტიებმა ოფისების ფუნქციონირებას (ოფისის იჯარის ხარჯები, ოფისის რემონტის ხარჯები, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციის ხარჯები, საკანცელარიო ნივთების შეძენის ხარჯები და სხვა) მოახმარეს.

კვლავ რჩება სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს²⁵ შორის (რამდენიმე ათასი ლარი), თუმცა ეს 2011 წლის მაჩვენებელზე (ერთ მილიონ ლარამდე) საგრძნობლად ნაკლებია.

²⁵ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ფინანსური ანგარიშის ფორმებისა და მათი შევსების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2012 წლის 23 იანვრის №10/37 ბრძანებით დამტკიცებული „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ფინანსური ანგარიშის ფორმების შევსების ინსტრუქციის“ მე-5 მუხლის თანახმად, საკასო ხარჯი არის რეალურად

მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს გამოიკვეთა, რომ *ერთიან ნაციონალურ მოძრაობას* სატრანსპორტო მომსახურებაზე არადეკლარირებული ხარჯი ჰქონდა გაწეული²⁶. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაადგინა *ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* მიერ უკანონო შემოწირულების მიღების და მის სასარგებლოდ უკანონო შემოწირულების განხორციელების ფაქტები, თუმცა ამ პოლიტიკურ გაერთიანებას ვერ დააკისრა სანქცია ამნისტიის აქტიდან – „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 19 დეკემბრის კანონიდან – გამომდინარე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტები 2013 წლის 8 იანვარს მთავარმა პროკურატურამ გამოავლინა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის კი ისინი 2012 წლის განმავლობაში უცნობი იყო.

4. მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში მომსახურებაზე გაწეული ხარჯების წილი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, თითქმის უცვლელი იყო. აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით გარკვეული ტიპის მომსახურების ოდენობაზე შეზღუდვები დაწესდა²⁷, თუმცა ამ შეზღუდვებით არსებული სურათი არ შეცვლილა, რადგან მომსახურებისთვის დადგენილ ზღვარზე მეტი ხარჯი არც წინა პერიოდებში ყოფილა გაწეული. ამასთანავე, რამდენიმე პარტიამ მომსახურებაზე სხვებზე მეტი და წინა პერიოდებთან შედარებით საგრძნობლად დიდი ხარჯი გასწია. კერძოდ, *ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ* ამ მიზნით 2012 წელს 160 646 ლარი (მთლიანი ხარჯის მხოლოდ 1%) დახარჯა, *თავისუფალმა დემოკრატებმა* – 391 268 ლარი (მთლიანი ხარჯის 29%). ამ უკანასკნელ შემთხვევაში მომსახურებაზე გაწეული ხარჯის 97% (378 838 ლარი) საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის ხარჯებზე მოდის. რადგანაც კანონის თანახმად საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი საერთო ხარჯის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს, საჭიროა შემოწმდეს, კონკრეტულად რა მომსახურება იქნა მიღებული ამ თანხით და რა პერიოდში, რათა დადგინდეს, ხომ არ მომხდარა კანონდარღვევა. სამწუხაროდ, ფინანსურ დეკლარაციაში ეს ინფორმაცია სრულყოფილად არ არის მოცემული.

გადახდილი ფული. ამდენად, როდესაც პარტია წინასწარ იხდის თანხას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის ბუღალტრულად აღიარებული ანუ დარიცხული (ფაქტობრივი) ხარჯი და მიღებულია თუ არა მომსახურება/საქონელი, ეს საკასო ხარჯია.


²⁶ <http://sao.ge/?action=news&npid=292&lang=geo>

²⁷ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 25¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობის 10%-ს.

5. რეკლამის ხარჯი

როგორც წესი, რეკლამის ხარჯი პოლიტიკური გაერთიანებებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ხარჯია. იგი ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდში გაიწევა და სწორედ საარჩევნო კამპანიის ფონდის ფარგლებში ექცევა. თუმცა 2012 წელს პარტიებმა რეკლამების განთავსება წინასაარჩევნო კამპანიამდე ბევრად ადრე დაიწყეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ხარჯების ეს სახეობა აქაც გამოვყოთ. 2012 წელს რეკლამისათვის პარტიების ფინანსების საშუალოდ 13% დაიხარჯა, მაქსიმალური მაჩვენებელი კი 21% იყო. ამ ხარჯზე საკმაოდ დიდი ოდენობის თანხები მოდის, მაგალითად, *ერთიანი ნაციონალური მოძრაობის* შემთხვევაში – 577 030 ლარი (18%), ხოლო *თავისუფალი დემოკრატების* შემთხვევაში – 211 528 ლარი (16%). რეკლამის ხარჯი დეკლარაციაში დიფერენცირებულია და გამოიყოფა სატელევიზიო რეკლამის, ბეჭდური რეკლამის, ინტერნეტრეკლამის, ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამის და სხვა სარეკლამო ხარჯები. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ სრულყოფილი სურათი მაინც არ იხატება. საჭიროა კიდევ უფრო მეტი დეტალიზება, ისევე, როგორც იჯარის, ხელფასების, პრემიების და მივლინებების შემთხვევაში.

დიაგრამა №7. პოლიტიკური პარტიების მიერ რეკლამის კონკრეტულ ტიპებზე გაწეული ხარჯები



თუ *ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას* არ ჩავთვლით, პოლიტიკური გაერთიანებები ყველაზე მეტს (საშუალოდ 81%) სატელევიზიო რეკლამისათვის ხარჯავენ, ხოლო ყველაზე ნაკლებს – ინტერნეტრეკლამისა და ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამისათვის. ინტერნეტრეკლამა 2-მა პარტიამ გამოიყენა და ისიც ძალიან მცირე ოდენობით, ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამა კი – მხოლოდ *ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ*, თუმცა ხარჯი 360 000 ლარს

თუ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას არ ჩავთვლით, პოლიტიკური გაერთიანებები ყველაზე მეტს (საშუალოდ 81%) სატელევიზიო რეკლამისათვის ხარჯავენ, ხოლო ყველაზე ნაკლებს – ინტერნეტრეკლამისა და ბრენდირებული აქსესუარებით რეკლამისათვის.

(57%) აღემატებოდა. მეორე მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წლიური ხარჯები ფაქტობრივად არ მოხმარებია სატელევიზიო რეკლამას. თუ წინასაარჩევნო კამპანიის ფონდების ანგარიშებს²⁸ გავიხსენებთ, იმ პერიოდში სწორედ სატელევიზიო რეკლამის ხარჯები სჭარბობდა მაშინდელი მმართველი გუნდის სხვა სარეკლამო ხარჯებს.

6. სხვა ხარჯები

2011 წლიდან „სხვა ხარჯების“ წილი საგრძნობლად შემცირდა. ეს გამოწვეულია დეკლარაციის სავალდებულო ფორმის შექმნით, რომელიც საკმაოდ დეტალურია. უფრო მეტიც, დეკლარაციაში უკვე თავად „სხვა ხარჯების“ კატეგორიაც დეტალიზებულია. ამდენად, ასეთ კლასიფიკაციაში მოცემული თანხების გაშიფვრა შესაძლებელია. ზოგიერთ პოლიტიკურ გაერთიანებას ან საერთოდ არ გაუწევია ასეთი ხარჯი, ან იგი 1–5%-ს არ აღემატებოდა.

²⁸ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიში საარჩევნო კამპანიის ფინანსების ანალიზი: <http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi>

III. ძირითადი მიგნებები, ტენდენციები და რეკომენდაციები

პარტიების 2012 წლის ფინანსური დეკლარაციების კვლევის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია უნდა გამოიყოს²⁹:

1. მარეგულირებელი ორგანო

1.1. პასიური და შერჩევითი რეაგირება

2012 წელს ბევრჯერ დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის არაერთგვაროვანი, შერჩევითი და ზედმეტად მკაცრი მიდგომა. იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური საუბრობდა უკანონო შემოწირულობებზე, თუმცა იშვიათად აქვეყნებდა დეტალურ ინფორმაციას.

აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი, როდესაც 2012 წელს მაშინდელი ოპოზიციური ძალების შემომწირველთა დიდი ნაწილი დაკითხვაზე იქნა დაბარებული. ხშირი იყო მათ მიმართ მუქარისა და ზეწოლის შემთხვევები.

არჩევნების შემდეგ სახელმწიფო აუდიტის სამსახური საპირისპირო რეჟიმში აღმოჩნდა – მას ფაქტობრივად არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ამ კვლევის ფარგლებში არაერთი ხარვეზი დაფიქსირდა, კერძოდ, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც დეკლარაციების შევსებისას სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული. მაგალითად, *ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის* ანგარიშში „ხარჯების“ გრაფა თითქმის მთლიანად შეცდომითაა შევსებული, არ გამოდის ბალანსი, მითითებულია ერთ-ერთი ხარჯი, რომლის ფაქტობრივი ხარჯი საკასოზე ზუსტად 120 000 ლარით ნაკლებია, რაც შეიძლება შეცდომაც იყოს, ხარჯის კლასიფიკაციიდან და საბალანსო ანგარიშგებიდან გამომდინარე, თუმცა ამაზე არც კერძო აუდიტის დასკვნაშია საუბარი და არც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მოუხდენია რეაგირება.

ასევე რეაგირების გარეშე დარჩა ლობისტურ კომპანიებთან დაკავშირებული საკითხი³⁰, როდესაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, გასაჯაროებულიყო

²⁹ წინა პერიოდების კვლევებში გამოკვეთილი ტენდენციების შესახებ იხილეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშები:

<http://transparency.ge/post/report/new-ti-georgia-report-pre-election-environment-geo;>
<http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-tsinasaarchevno-monitoringis-shedegebi;>
<http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011;>
<http://transparency.ge/post/report/akhali-angarishi-saarchevno-kampaniis-pinansebis-analizi>

პოლიტიკური პარტიების მიერ საერთაშორისო ლობისტურ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულებები, რამდენადაც არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს საქმიანობა საარჩევნო მიზნებს ემსახურებოდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური საკმაოდ ხშირად დაუსაბუთებლად აჯარიმებდა მაშინდელ ოპოზიციურ ძალებს, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სამსახურის საქმიანობის ნეგატიურად შეფასების შემდეგ მან მიდგომა შეცვალა და, ხშირად, საკმაოდ მკაფიო ფაქტებზეც კი რეაგირებას აღარ ახდენდა. ეს კონკრეტული შემთხვევაც სწორედ ასეთი მაგალითია.

მცირე ხარვეზები ფიქსირდება არაერთი პარტიის ანგარიშში, რაც, ერთი მხრივ, დეკლარაციების სიახლითაა გამოწვეული. ამდენად, უნდა გაგრძელდეს მუშაობა პარტიების თანამშრომლებთან, რათა ასეთი ხარვეზები აღმოიფხვრას და პარტიების პასუხისმგებლობის საკითხიც არ დადგეს.

- აუცილებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა მკაცრად შემოიფარგლოს დაფინანსების მონიტორინგით და არ იქცეს კვლავ პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად. ამ საკითხში მნიშვნელოვანია ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების და თავად აუდიტის სამსახურის როლი და ის რეფორმა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული უნდა იყოს აღნიშნულ პროცესში.
- საკანონმდებლო ცვლილებების მთავარი მიზანი უნდა იყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია ნათელი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, პროფესიული კადრების მომზადება და აუდიტის სამსახურის მკაცრად ფინანსური მონიტორინგის და არა - პროკურატურის ორგანოდ ჩამოყალიბება.
- აუცილებელია აქტიური მუშაობა პარტიებისათვის დეკლარაციების შევსების განსამარტავად და გარკვეული ტიპის ინსტრუქციის შემუშავება. დეკლარაციების სრულყოფის გარდა, ეს ხელს შეუწყობს პარტიების დაცვას კანონის უნებლიე და მექანიკური შეცდომების გამო დარღვევისაგან.

³⁰ იხილეთ განცხადება: <http://transparency.ge/post/general-announcement/gantskhadeba-lobistur-khelshekrulebebtan-dakavshirebit>

1.2. დაკავშირებული პირები

2012 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გააკეთა განცხადებები რამდენიმე იურიდიული პირის პოლიტიკურ პარტიასთან „დაკავშირებულ პირად“ ცნობის და მათზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის დებულებების გაგრცელების თაობაზე. მათ შორის იყვნენ ააიპ „საქართველო არ იყიდება“³¹ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“. ორგანული კანონის თანახმად, მათზე ვრცელდება წლიური ანგარიშგების წარდგენისა და საჯაროობის მოთხოვნები. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არცერთი ასეთი პირის წლიური ანგარიში არ გამოუქვეყნებია, რითაც კანონი დაირღვა.

მიუხედავად იმისა, რომ ააიპ „საქართველო არ იყიდება“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ არიან დაკავშირებული პირები, და მათზე ვრცელდება წლიური ანგარიშგების და საჯაროობის მოთხოვნები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს არცერთი ასეთი პირის წლიური ანგარიში არ გამოუქვეყნებია, რითაც კანონი დაირღვა

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა გააგრძელოს იმ პირთა მონიტორინგი, რომელთა საქმიანობის კონტროლიც კანონით ევალება, და უნდა უზრუნველყოს თანაბარი მიდგომა, პროცესის გამჭვირვალობა და შესაბამისი ანგარიშების ხელმისაწვდომობა.

2. შემომწირველები და შემომწირულებები

2.1. სოციალურად დაუცველი შემომწირველები

პოლიტიკური გაერთიანებების შემომწირველთა შესახებ მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, ნაწილი კი შემწეობასაც იღებს.

პოლიტიკური გაერთიანებების შემომწირველთა შესახებ მონაცემების გადამოწმებით დადგინდა, რომ მათი ნაწილი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, ნაწილი კი შემწეობასაც იღებს. კერძოდ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

³¹ ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხილეთ ბლოგი: <http://transparency.ge/blog/sakartvelo-ar-iqideba-s-da-mmartveli-partiis-ukanono-garigeba>

შემომწირველთაგან ამ ბაზაში 3 პირი აღმოჩნდა:

თანხა	შემომწირველი	პ/ნ	ქულა
15,000.00	ლეუვა ლაშა	01036000118	170 960
40,000.00	ჯორბენაძე დიმიტრი	01011000130	418 260
5,000.00	ელიოზაშვილი ზურაბ	59001023891	84 520

თავისუფალი დემოკრატების შემომწირველთაგან კი – 11:

თანხა	შემომწირველი	პ/ნ	ქულა
400	კორძია მალხაზ	62001020285	31 920
995.1	ელბაძიძე მამუკა	01019051925	80 940
998	ბარბაქაძე მალხაზ	01019051724	104 360
1000	სულხანიშვილი მანანა	01027043584	143 730
1000	სუთიაშვილი თამარ	01027046307	296 320
არ იკითხება	ჭუმბურიძე თენგიზ	01015025155	27 720
298.1	ჩხეტიანი რომან ³²	62004013379	49 070
1000	კურტანიძე ინგა	01027015774	68 470
700	ჭუმბურიძე შორენა	01030039609	84 380
500	ღავთაძე კლავდია	01025021024	103 300
5000	ჭინჭარაული მარტია	01006004962	121 620

³² ბაზის მონაცემების თანახმად, ამ პირს ბოლო 6 თვის განმავლობაში 152 ლარი აქვს აღებული.

მართალია, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ყოფნა არ უკრძალავს ამ მოქალაქეებს შემოწირულების განხორციელებას, თუმცა, მათი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი შეძლებდნენ საკუთარი სახსრებით პარტიისთვის თანხის გადარიცხვას. ამ შემთხვევაში შემოწირულების სხვა პირის ნაცვლად განხორციელების რისკი მაღალია.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს შემოწირველთა სოციალურ მდგომარეობას და იმ პირთა რისკგუფები უნდა გამოყოფოს, რომლებსაც შემოწირულების საკუთარი სახსრებით განხორციელების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ.

2.2. შემოწირულებები ბიზნესიდან

2011 წლის 28 დეკემბრის ცვლილებამდე მოქმედი კანონმდებლობა კორუფციის სერიოზულ რისკებს შეიცავდა, რამდენადაც კომერციული პირებისაგან შემოსავლების მიღება არასრულყოფილად რეგულირდებოდა. კომერციული საწარმოს მიერ შემოწირულებების განხორციელება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად რეგულირდება. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფო მთლიანად კრძალავს ასეთ შემოწირულებებს, ზოგი კი შეზღუდვებს მხოლოდ გარკვეული ტიპის საწარმოებს უწესებს. ეს შეზღუდვები, როგორც წესი, პოლიტიკური კორუფციის თავიდან აცილებას და აქციონერთა უფლებების დაცვას ემსახურება. კომერციული საწარმოს უმთავრესი მიზანი ფინანსური მოგების მიღებაა. ამდენად, ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ ბიზნესმენების მიერ პოლიტიკური შემოწირულებების განხორციელება პოლიტიკოსებთან დაახლოებას და ამით გარკვეული, არაკანონიერი უპირატესობების მოპოვებას ისახავდეს მიზნად.

ბიზნესის მიერ პოლიტიკის დაფინანსება ყოველთვის შეიცავს კორუფციის რისკს. ამიტომ აუცილებელია შემოწირულებების განხორციელების სწორი სამართლებრივი რეგულირება. მეორე მხრივ, შემოწირულების სრული აკრძალვა იურიდიული პირის გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკური საქმიანობის კონსტიტუციური უფლების გაუმართლებელ და არაპროპორციულ შეზღუდვას იწვევს.

ბიზნესის მიერ პოლიტიკის დაფინანსება ყოველთვის შეიცავს კორუფციის რისკს. ამიტომ აუცილებელია შემოწირულებების განხორციელების სწორი სამართლებრივი რეგულირება. მეორე მხრივ, შემოწირულების სრული აკრძალვა იურიდიული პირის გამოხატვის თავისუფლებისა და პოლიტიკური საქმიანობის კონსტიტუციური უფლების გაუმართლებელ და არაპროპორციულ შეზღუდვას იწვევს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოსთან მიმართებით არ არსებობს არცერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ

შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც რეკომენდაციას გაუწევდა ხელისუფლებას, იურიდიული პირებისათვის პარტიების დაფინანსების სრული აკრძალვა დაენჭებინა.

სასურველია, იურიდიული პირებისათვის პარტიების დაფინანსების სრული აკრძალვის ნაცვლად, კანონმდებლობაში გაჩნდეს სპეციალური მარეგულირებელი ნორმები არსებული რისკების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, გამოირიცხოს ერთი პირის მიერ რამდენიმე იურიდიული პირის დაფუძნებით შემოწირულებათა ლიმიტისთვის გვერდის ავლა, ასევე დაფინანსების იმ იურიდიული პირისაგან მიღება, რომლის წილის მფლობელი შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან სხვა სახელმწიფო, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანია და ა. შ.

- საჭიროა კანონის ნორმის იმგვარად ფორმულირება, რომ ერთმა და იმავე პირმა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა იურიდიული პირის საშუალებით ვერ შეძლოს ერთი პარტიისთვის 100 000 ლარზე მეტის გადარიცხვა;
- სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს ან აკრძალოს შემოწირულებები არა მარტო იმ საწარმოებიდან, რომლებშიც მას წილი აქვს, არამედ იმ საწარმოებიდანაც, რომლებიც რომელიმე საჯარო დაწესებულებას საქონელს აწვდიან ან მომსახურებას უწევენ;
- კორუფციის რისკის შესამცირებლად სასურველია, არჩევნების წინა წელს და არჩევნების წელს სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ საწარმოებს აეკრძალოთ შემოწირულებების განხორციელება, ხოლო პოლიტიკური პარტიის დამფინანსებელ საწარმოებს – სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა. ეს იმითაა განპირობებული, რომ ასეთ საწარმოებს და სახელმწიფოს პირდაპირი ფინანსური კავშირი აქვთ, რაც პოლიტიკურ პარტიასა და ბიზნესს შორის უკანონო გარიგების – „ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ შემოწირულების“ და „შემოწირულების სანაცვლოდ ტენდერში გამარჯვების“ – რისკს წარმოშობს;
- უნდა აიკრძალოს შემოწირულებების ისეთი საწარმოებისგან მიღება, რომელთა მენილეებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიები არიან.

3. ანგარიშგების ფორმა

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შექმნა დეკლარაციის სპეციალური ფორმა³³. ეს ფორმა საზოგადოებისათვის საკმაოდ

³³ http://sao.ge/?action=page&p_id=179&lang=geo

მოსახერხებელია, რადგან მონაცემები დანაწილებულია ტიპოლოგიის მიხედვით და პარტიების მიერ გაწეული ხარჯები უფრო დეტალურად და სრულყოფილად არის ასახული. გარდა ამისა, ფაქტობრივად სრულადაა შესაძლებელი ყველა ხარჯის იდენტიფიცირება, მათ შორის, „სხვა ხარჯების“ კატეგორიაში შემავალი თანხებისა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

3.1. ხარვეზები ანგარიშების შემოსავლების ნაწილში

წინა საანგარიშო პერიოდების კვლევისას არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვანი ხარვეზია ტიპოლოგიის მითითებისას „სხვა“ კატეგორიის გამოყენება ისე, რომ იდენტიფიცირება შეუძლებელი იყოს. შემოსავლების შემთხვევაში დამატებით მოცემულია „სხვა შემოსავლების“ კატეგორია. 2011 წელს „სხვა შემოსავლებში“ 2-მა პარტიამ მიუთითა თანხები და თანაც საკმაოდ დიდი ოდენობის. ეს 2012 წელსაც მოხდა. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ ორგანულ კანონში 2011 წლის 28 დეკემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად, „სხვა შემოსავალი“, გარდა სახელმწიფო დაფინანსებისა, შემოწირულობებისა, საჯარო ღონისძიებების მეშვეობით და პარტიის სიმბოლიკის გავრცელებით მიღებული შემოსავლებისა, ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს. ამდენად, კანონის ამოქმედების შემდეგ მიღებული ნებისმიერი არაიდენტიფიცირებადი შემოსავალი 60 000 ლარის ზემოთ შეიძლება უკანონოდ იქნეს მიჩნეული.

ამ პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინება:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დეკლარაციის ფორმაში მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს პოლიტიკური პარტიების შემოსავლის ყველა შესაძლო სახე, მათ შორის, ის კატეგორიები, რომლებიც პარტიების გასული წლების ანგარიშებში იყო ასახული, კერძოდ, არაფინანსური აქტივების გასხვისება, პროცენტის კაპიტალიზაცია და სხვა;
- ვინაიდან შემოსავლის ყველა ტიპის ამოწურვა შეუძლებელია, „სხვა შემოსავლების“ კატეგორიის გამოყენების შემთხვევაში სავალდებულო უნდა გახდეს კონკრეტული შემოსავლის წყაროს მითითება. კერძოდ, თუ შემოსულობა დეკლარაციაში მოცემულ სახეებში ვერ ხვდება, დეკლარაციაში უნდა მიეთითოს, რა გზით მიიღო იგი პარტიამ, „სხვა ხარჯების“ დეტალური გრაფების მსგავსად.

3.2. ხარვეზები ანგარიშების ხარჯების ნაწილში

დეკლარაციის ფორმაში არის გარკვეული კატეგორიები, რომელთა დეტალიზება გამჭვირვალობის ხარისხსაც გაზრდიდა და გარკვეულ ინტერესებსაც დააკმაყოფილებდა.

როგორც აღინიშნა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა დეკლარაციის ფორმის დამატებითი გრაფები, რომლებშიც უფრო დეტალიზებულია პოლიტიკური გაერთიანებების ხარჯები – ხელფასები, პრემიები, მივლინებები, იჯარის თანხები და სხვა. დეკლარაციის ფორმის ასეთი დეტალიზება მისასაღმებელი, წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა ანგარიშგების უფრო მეტად დახვეწისათვის საჭიროა დამატებით რამდენიმე საკითხის გათვალისწინება:

- დეკლარაციის ფორმაში მოცემულია რეკლამაზე განეული ხარჯი, თუმცა ცალ-ცალკე არ არის გამოყოფილი სატელევიზიო, საგაზეთო, რადიო- და გარე (ბილბორდები, პოსტერები და სხვა) რეკლამებისათვის დახარჯული თანხები. ასევე აუცილებელია, ფორმა შეიცავდეს ხარჯების დეტალურ განვრცად, ზუსტი თარიღის, შეძენილი საქონლის/მომსახურების, საქონლის მიმწოდებლის/მომსახურების გამწვევის, მისი მიწოდების/განვრცადის ტერიტორიის და ხარჯების ოდენობის მითითებით. მედიამონიტორინგის სრულყოფილად განხორციელებისათვის ამ კატეგორიის დეტალიზებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს;
- აუცილებელია დეკლარაციის ფორმაში მოცემული რეკლამის ხარჯის დეტალიზება, განსაკუთრებით წლიური ანგარიშგების ფორმისა და საარჩევნო კამპანიის საბოლოო ანგარიშგებისათვის. კერძოდ, დეკლარაცია უნდა შეიცავდეს თითოეული შესრულებული გადახდის აღწერილობას: ვის გადაუხადა პარტიამ თანხა, რა მომსახურებისათვის, რა ტერიტორიაზე და რა პერიოდში იქნა განეული მომსახურება, საქონლის/მომსახურების ერთეული (მაგალითად, კვ. მ, ცალი, წუთი და სხვა) და მიღებული საქონლის/მომსახურების საერთო ოდენობა. ამ მონაცემების მეშვეობით შესაძლებელი იქნება რეკლამის ხარჯის ტერიტორიულად და ხარისხობრივად შემოწმება.

3.3. ანგარიშგების ფორმატი

აღსანიშნავია დეკლარირების ფორმატი, რომელზედაც წინა კვლევებშიც ვსაუბრობდით. პარტიების მიერ შევსებული დეკლარაციების ელექტრონული ფორმების ნაცვლად მათ მიერ დაბეჭდილი მასალების დასკანერებული ვერსიები ქვეყნდება, რის გამოც ზოგიერთი მონაცემი არ იკითხება და ანალიზის გაკეთება შეუძლებელია. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ვალდებულია გამოაქვეყნოს ინფორმაცია და უზრუნველყოს პარტიების დაფინანსების საჭაროობა, რაც, თავისთავად, ამ ინფორმაციის რეალურ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. მისასაღმებელია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დეკლარირების ელექტრონული ფორმატი შეიმუშავა, თუმცა დეკლარაციის გასაჭაროება მაინც დასკანერებული ფორმატით ხდება. პრობლემა იმითაა გამოწვეული, რომ ოფიციალურ დოკუმენტაციას უნდა ჰქონდეს პარტიის ბეჭედი და პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები. იმ ფონზე, როცა საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ელექტრონული ხელმოწერის მექანიზმს, ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია.

ამასთანავე, მისასაღმებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გადანაცვეტილება, აღარ დაიფაროს დეკლარაციის არცერთი მონაცემი. პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა, რა თქმა უნდა, ყველა მონაცემის სრულ საჯაროობას გულისხმობს. ამ საკითხზე მარეგულირებელი ორგანოს არაერთხელ მივუთითეთ და ჩვენი რეკომენდაციის გათვალისწინება ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია.


შემდგომი გაუმჯობესებისთვის სასურველია გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ:

- დეკლარირების ელექტრონული ფორმის შემუშავებისას სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უნდა გამოიყენოს ინფორმაციის გადამუშავების გასაიოლებელი მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ინფორმაცია ადვილად აღსაქმელი და გასარჩევი იქნება, რაც მის მარტივად დამუშავებას უზრუნველყოფს (ე. წ. machine-readable).


პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის და მათი ანგარიშვალდებულების შესახებ კანონმდებლობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, გასულმა წელმა ცხადყო, რომ კანონის ჯეროვანი აღსრულება ხშირად პრობლემაა. 2011 წლის ჩათვლით საქართველოში არ არსებობდა მარეგულირებელი ორგანო, არ იყო შემუშავებული პარტიების ფინანსური დეკლარაციები, თანხების მოზიდვაზე შეზღუდვები მწირი იყო, მათი ხარჯვის კონტროლი კი – შეუძლებელი. 2012 წელს სურათი რადიკალურად შეიცვალა – შეიქმნა მარეგულირებელი ორგანო, ჩამოყალიბდა დეკლარირების ერთიანი ფორმა, დანესდა არაერთი შეზღუდვა და გამკაცრდა კონტროლი. მართალია, ამით პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა გაიზარდა, მაგრამ პოლიტიკური ანგარიშსწორების მექანიზმიც გაჩნდა. მარეგულირებელი ორგანო არაერთგვაროვანი, შერჩევითი მიდგომებით გამოირჩეოდა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები კი მას ამის კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევდა. გაუმართლებლად მაღალმა სანქციებმა პოლიტიკურ პარტიებს საგრძნობლად შეუშალა ხელი საქმიანობაში. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე პროცესი კვლავ სანყის მდგომარეობაშია და აუცილებელია გავრძელებას მუშაობა კანონმდებლობის დახვეწაზე, ასევე მისი აღსრულების ისეთ მექანიზმებზე, რომლებიც გამორიცხავს პოლიტიკური კონკურენციის ხელშეშლას და პარტიების დაფინანსების სახელმწიფო კონტროლს არ აქცევს ანგარიშსწორების იარაღად.

დანართი

დიაგრამა N1³⁴. ფონდის მიერ 2009-2012 წელს დაფინანსებული პარტიები³⁵



დიაგრამა N2. პოლიტიკური პარტიების 2007-2012 წწ. მიღებული საწევრო შენატანები³⁶




³⁴ დანართში მოყვანილი მონაცემების წყაროდ გამოყენებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ სახელმწიფო უწყებებიდან - ცესკოდან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრიდან გამოთხოვილი და მათ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მოცემული ინფორმაცია.


³⁵ დანართში გამოყენებულ აბრევიატურებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ენმ - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქდმ - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; მკს - მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს.

³⁶ დიაგრამაში მოცემულია მხოლოდ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომელთაც 2007-2012 წლებში ერთხელ მაინც აქვთ მიღებული საწევრო შენატანები.

დიაგრამა N3: პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებები 2007-2012 წლებში



დიაგრამა N4. პოლიტიკური პარტიების მიერ 2012 წელს გაწეული ხარჯები და მათი გადანაწილება³⁷



³⁷ 2007-2011 წლის ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ 2011 წლის პარტიებიდან დაფინანსების ანგარიშში: <http://transparency.ge/post/report/politikuri-partiebis-pinansebi-2011>

ცხრილი N1. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემომწირველი ფიზიკური პირების კავშირი იურიდიულ პირებთან³⁸

	სახელი და გვარი	თანხის ოდენობა (საბაზრო ღირებულებ ა)	იურიდიული პირის სახელი	იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო ნომერი	კავშირის სახე
1	მალხაზი იასეშვილი	25,000	შპს სავაჭრო სახლი მერკური; შპს ენერგოექსპორტი	416301914; 205146359	დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი
2	ზაზა შანიძე	50,000	შპს გეო ფრექტი; შპს გივამ	417874358; 406035115	განმცხადებელი; პარტნიორი
3	ლევან ანთაძე	5,000	შპს ლევორი	202345426	დირექტორი/პარტნიორი
4	გიორგი არაზაშვილი	7,000	შპს ევრო ინვესტი; შპს აგრო ჯგუფი	406074581; 406047380	პარტნიორი; პარტნიორი
5	მამუკა ბოსტოლანაშვილი	4,000	შპს მიკროსტუდია ჯგუფი; შპს მარნეულის სასურსათო ქარხანა	202376945; 234232960	დირექტორი; განმცხადებელი
6	ელდარ მამედოვი	20,000	შპს ევა-2007	202359697	დირექტორი/პარტნიორი
7	ზაზა მეტრეველი	60,000	შპს ბინული 1; შპს ენ პლიუს სერვისი; შპს ბინული	404922189; 205294279; 205151985	დირექტორი/პარტნიორი; წარმომადგენელი; გენერალური დირექტორი
8	თეიმურაზ წიფნიაძე	15,000	შპს სამშენებლო- კომერციული კორპორაცია ხიდი	215589021	პარტნიორი
9	გოჩა სამხარაძე	30,000	შპს ტექნოლაინი	202461950	პარტნიორი
10	თეიმურაზ ჯანგულაშვილი	15,000	თეიმურაზ ჯანგულაშვილი; სპს თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია	None; 216322619	განმცხადებელი; დირექტორი/დამფუძნებ ელი
11	გიორგი წულაძე	2,000	შპს ბურები	400010073	პარტნიორი
12	დავით ჩანტლაძე	60,000	შპს ტიფლის ექსპრესი	205293172	დირექტორი
13	თამაზ ალანია	60,000	შპს ჯეოკონტაქტი	205207373	პარტნიორი
14	მიხეილ ბასილაძე	2,000	შპს უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ	202461406	პარტნიორი
15	გიორგი ჯალიაშვილი	50,000	შპს დელტა-ნეტი	404398503	დირექტორი
16	გიორგი მუსყრიძე	5,000	შპს ნავადა ენდ როსს ქონსალთინგ	404860334	დირექტორი,შემგდუდული უფლებამოსილება, ნესდება, მუხლი 10

³⁸ სია არ არის აბსოლუტური სიზუსტის, შესაძლოა იყვნენ პირები, რომელთა მოძიება ბაზაში ვერ მოხერხდა, თუმცა მოძიებული პირების შესახებ ინფორმაცია თითქმის სრული სიზუსტითაა მოცემული.

17	ალექსანდრე ქამუშაძე	10,000	შპს პარაბოლა; შპს უნიფორმა და უსაფრთხოება LTD UNIFORMA AND SAFETY	401967378; 401965263	დირექტორი; გენერალური დირექტორი/პარტნიორი
18	კახი ბიჭიკაშვილი	50,000	შპს ხოვლე 2007; კახი ბიჭიკაშვილი	200227548	გენერალური დირექტორი/პარტნიორი; განმცხადებელი
19	ქეთევან ყვავილაშვილი	1,000	შპს ეკოლარი	401951955	პარტნიორი
20	ვლადიმერ გურგენიძე	60,000	შპს ლიბერთი ჰოლდინგ ჯორჯია; ს.ს საქ. "სახალხო ბანკის" ასპინძის ფილიალი; ს.ს საქართველოს სახალხო ბანკის გურჯაანის ფილიალი; სს კომერიციული აგრომენჯბანკის ლაგოდეხის ფილიალი; საქართველოს სახალხო ბანკის ტყიბულის ფილიალი	205286322 223098190 227716022 233109775 219631361	წარმომადგენელი/დირექ ტორი; გენერალური დირექტორი; გენერალური დირექტორი; გენერალური დირექტორი; გენერალურიდირექტორი
21	კარლო გოგინავა	2,000	სს Georgian Renewable Resources Corporation; სს ვენჯორჯია;	404953047 404885335	გენერალური დირექტორი; გენერალური დირექტორი
22	ბესიკ თოფჩიშვილი	60,000	ბესიკ თოფჩიშვილი	None	განმცხადებელი
23	დევი ოვაშვილი	60,000	შპს ინტერპლასტი	205187536	პარტნიორი
24	თემური ბაქროშვილი	1,500	შპს სილა	424066511	დირექტორი/პარტნიორი
25	ირაკლი კონჯარია	2,000	შპს აგრო ჯგუფი	406047380	დირექტორი/პარტნიორი
26	ზაზა კაპანაძე	30,000	შპს კოვერნეტ	404950068	დირექტორი/პარტნიორი
27	გელა გამტკიცულაშვილი	7,000	შპს ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში; შპს ლოპალი; შპს "არქსტუდია თელავი"	431166463 231290037 231280333	დირექტორი; პარტნიორი; პარტნიორი
28	გოჩა კურდღელია	10,000	შპს ბათპორტ მეტალ სერვისი; შპს მეტალექს+	445393743 415081716	დირექტორი/პარტნიორი; პარტნიორი
29	ლავრენტი თუთბერიძე	7,000	შპს ელიტაუდიტი; შპს სამეწარმეო და სამოქალაქო დავათა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი BT COMPANY	412677633 445416452	დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი

30	დავით ფერაძე	30,000	შპს D & G COMPANY; შპს HMG	404879627 404419660	დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი
31	ავთანდილი გულიკაშვილი	18,000	შპს საგარეჯო 2009; შპს კოვერნეტ; შპს ამაღლება 7	238158122 404950068 406048888	დირექტორი; პარტნიორი; პარტნიორი
32	გოჩა დარჩიაშვილი	60,000	შპს ქართული დეველოპერული კომპანია	202351365	პარტნიორი
33	სამველ აგიკიან	3,500	შპს აეს; შპს ჰილალ - ბუნება	406065234 424065674	განმცხადებელი; პარტნიორი
34	თამაზ გოგიაშვილი	1,500	შპს ლთ ჯგუფი	404379052	დირექტორი/პარტნიორი
35	ლევან ზედელაშვილი	18,000	შპს Construction Service	404935647	პარტნიორი
36	თამაზ შაკაია	10,000	შპს ატლანტა-2009; შპს "თამთა-2006"	220415897 220389540	დირექტორი/პარტნიორი; განმცხადებელი
37	იური ესებუა	50,000	შპს იმექსი; შპს ბერგი	215134753; 415082216	პარტნიორი; პარტნიორი
38	დალი ურუშაძე	60,000	შპს ერთობა-2011	404890178	პარტნიორი
39	ზაალ საღუნიაშვილი	60,000	შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი; შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი	404927610 205138493	აღმასრულებელი დირექტორი; აღმასრულებელი დირექტორი
40	დავით კირკიტაძე	5,000	შპს იბერ მით ჯორჯია; შპს ალფა მარკეტი	205296106; 404880535	განმცხადებელი; განმცხადებელი
41	გოჩა ჩოხელიშვილი	52,000	გოჩა ჩოხელიშვილი	None	განმცხადებელი
42	გურამ კალანდაძე	10,000	შპს ტრანსკო	215128092	განმცხადებელი
43	მანანა სანაძე	3,000	შპს იუჯი ბალი	404889894	დირექტორი/პარტნიორი
44	გიორგი ცხაკაია	10,000	ახალი თბილისი	404410464	/გამგეობის წევრი
45	თენგიზ გავაშელი	30,000	შპს ძველი ბაზარი	205283414	პარტნიორი
46	ამირანი ქორთიაშვილი	60,000	შპს ანკო	400020838	პარტნიორი
47	ელადიმერ ნარტყოშვილი	38,000	შპს იტალიური გალერეა Galleria Italiana; შპს დ.ჯი; შპს ტექინვესტი	406063049; 404857384; 400011312	დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; პარტნიორი
48	გიორგი ნინუა	2,000	შპს ერის-ჯორჯია	404891710	პარტნიორი
49	ჯონდო მესხორაძე	5,000	შპს პურის სამყარო; შპს ჯი ენდ ქეი	200276593; 200276423	პარტნიორი; ხელმძღვანელი, ერთპიროვნულად
50	თეიმურაზ უგულაშვილი	60,000	შპს ჯეობეთს	404894101	პარტნიორი
51	ლევან ლოლაძე	8,104	შპს ბიო ნატურალი	404926470	პარტნიორი

52	გოჩა ენუქიძე	44,350	შპს კრისტალვილი; შპს კავკასუს მოტორსი	426109579; 436031768	პარტნიორი; პარტნიორი
53	გიორგი ჩაკვეტაძე	5,000	შპს ვაკე 2011; შპს ოპტიმა +	401954024; 400010251	დირექტორი/პარტნიორი; განმცხადებელი
54	სალომე ჭელიძე	1,267	შპს ქართულ-ევროპული აკადემია	404391537	დირექტორი
55	ზებურ დვალიძე	2,000	შპს ელჭი 2010	445383718	პარტნიორი
56	კახაბერი რუსია	8,000	შპს ზედაზენი-სამეგრელო	439861268	დირექტორი/პარტნიორი
57	ლერი ბოგვერაძე	3,000	შპს NEW STAR; შპს ა.ლ.მ. ევროტექნიკსი	412680790; 412671899	პარტნიორი; პარტნიორი
58	ვახტანგ ელილაშვილი	60,000	შპს ფარნავაზი; შპს იონი; შპს ქუთაისი პლაზა	205177128; 202344793; 404898697	განმცხადებელი; განმცხადებელი; პარტნიორი
59	დავით თათეშვილი	4,000	შპს კოვერნეტ	404950068	პარტნიორი
60	სამსონ ფხაკაძე	60,000	სს ვენტორტია	404885335	დირექტორი
61	მალხაზ ისაკაძე	60,000	შპს ისეკო	406027838	პარტნიორი
62	ირაკლი ხახუბია	10,000	შპს GEONUTS; შპს Gcm Service; შპს Geo Capital Management	415084786; 401952437; 401952428	პარტნიორი; პარტნიორი; პარტნიორი
63	სევერიან სააკაშვილი	60,000	შპს აგრო	417874544	დირექტორი
64	იოსებ ბოლოლოცხიშვილი	5,000	შპს MANSI	404418974	დირექტორი
65	კონსტანტინე დუგლაძე	14,000	კულინარი	404855830	პარტნიორი
66	მიხეილ ცეციტიშვილი	3,000	შპს ჯეო კირი LTD GEO KIRI; შპს Bazisi GW; შპს ციტრონი; შპს ემთი ჯგუფი	404421719; 406054344; 404942112; 404928879	პარტნიორი; პარტნიორი; პარტნიორი; პარტნიორი
67	ნინო დედაბრიშვილი	15,000	შპს DUBAI.GE	406054166	პარტნიორი
68	ნუგზარ გიგაური	8,000	შპს მერიდიანი-2006	200189973	პარტნიორი
69	ჯამბულატ ჯაყელი	60,000	შპს მოტო სერვისი	206343615	პარტნიორი
70	კახა ბენდუქიძე	55,555	შპს ყოველკვირეული საინფორმაციო- ანალიტიკური ჟურნალი ტაბულა	202463529	პარტნიორი
71	ბესიკ ჩუბინიძე	60,000	შპს ორბიტა მოტორსი; შპს ჰაიტექი (HITECH)	202462879; 202321567	პარტნიორი; პარტნიორი
72	თეიმურაზი ნურნუშია	3,100	შპს ძელური	242570552	განმცხადებელი
73	გიორგი ლულუნიშვილი	80,000	შპს ლიახვი	404419161	პარტნიორი

74	ზვიადი ბიბილეიშვილი	20,000	შპს კარლის კავკასია; შპს ვიტო; შპს ლაზო; შპს კოლორი	412684037; 412675298; 412686222; 412675289	დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; პარტნიორი; პარტნიორი
75	ლევანი მინდორაშვილი	16,000	შპს ლომისი+; შპს რჩეული; შპს "მინდორაშვილი და კომპანია"	416296289; 416291747; 216454780	განმცხადებელი; პარტნიორი; ხელმძღვანელი/პარტნიორი
76	გიორგი მჭედლიშვილი	3,000	შპს ნიუ პროტექტი; შპს აგრო ჯგუფი	404909248; 406047380	დირექტორი; პარტნიორი
77	ემზარი გოზალიშვილი	1,000	შპს მესხეთტრეიდიგ	224084880	დირექტორი
78	ვლადიმერ დარჩიაშვილი	60,000	შპს ქართული დეველოპერული კომპანია; გეოექსპორტ ჯორჯია	202351365; 202349477	განმცხადებელი; პარტნიორი
79	ზურაბ ალავეიძე	35,000	სს დარიალი ენერჯი	401953061	დირექტორი
80	მოსე ბეზარაშვილი	10,000	შპს საერთაშორისო სამეფო კავიარის კომპანია	404878218	დირექტორი/პარტნიორი
81	სიმონ ესართია	35,000	Dream Bartender Group	406055343	გამგეობის წევრი
82	გიორგი ბიძინაშვილი	24,000	შპს ნ.ფ.პ.	200276441	პარტნიორი
83	ალექსი თათრიაშვილი	6,000	შპს მათა; შ.პ.ს „ვირაჟი“	417877195; 218067133	დირექტორი/პარტნიორი; ხელმძღვანელი,ერთპირ ოვნულად/პარტნიორი
84	მინდია საბანაძე	49,965	შპს ვესტ ინვესტი; შპს ევროგაზი; შპს გეოფუდ ტრეიდიგ; შპს ამერიქოლდი	202311104; 404423085; 404417948; 404391243	განმცხადებელი; პარტნიორი; პარტნიორი; პარტნიორი
85	პაატა კურტანიძე	60,000	ერთიანობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის	404879093	გამგეობის წევრი
86	გია გამტკიცულაშვილი	23,500	შპს ლოპა; შპს ლოპალი; შპს "არქიტექტურა თელავი"; შპს ნიკორა-კახეთი"	431168185; 231290037; 231280333; 231278131	განმცხადებელი; განმცხადებელი; ხელმძღვანელი, შეზღუდული უფლებამოსილება/პარტნიორი; პარტნიორი
87	ხვიჩა ბანცური	1,500	შპს ბუ-ბა ჯორჯია; შპს იესემ ჯორჯია	200274719; 206342956	განმცხადებელი; პარტნიორი
88	გელა ასლანიშვილი	4,000	შპს საბა 2002	425357605	დირექტორი/პარტნიორი
89	მამუკა დოლიძე	10,000	შპს ბელუქსი პლიუსი; შპს ლუკასი	205289249; 404898759	განმცხადებელი; დირექტორი/Parter

90	გურამი წინილაშვილი	50,000	შპს აისბერგი 2	215127725	პარტნიორი
91	ლევან ლანდია	45,000	შპს GDG; Dream Bartender Group	406058215; 406055343	განმცხადებელი; გამგეობის წევრი
92	ავთანდილ სვიმონიშვილი	20,000	შპს მიკროსტუდია ჯგუფი	202376945	პარტნიორი
93	თეიმურაზ წულაძე	2,000	შპს სუზალა	200201227	პარტნიორი
94	დავითი იოსელიანი	5,000	შპს ორხევი-91	208140787	პარტნიორი
95	ვაჟა მეთრეველი	2,500	მეთრეველთა საგვარეულო კავშირი	437976291	თავმჯდომარე, გამგეობის წევრი
96	ზურაბ კიკნაძე	5,000	შპს ფურთი-2006	247865092	პარტნიორი
97	მამუკა ნაცვლიშვილი	60,000	შპს აიჯი დისტრიბიუშენი	205121223	პარტნიორი
98	ზაურ გაბაიძე	20,000	შპს ილგამი	445386323	დირექტორი/პარტნიორი
99	ზურაბ ტაბიძე	10,000	ექსონი	204570552	პარტნიორი
100	პაატა სირაძე	60,000	შპს MMG Architecture; შპს MMG Trading; შპს აუდიტ & კონსალტინგ ინტერნეიშენალ კომპანი ACIC; შპს ქალაქპროექტი; შპს ჯი-ი-ემ დეველოპმენტს; შპს სითი; შპს ევრისინგ; შპს I And Time; შპს MMG Retail; შპს MMG Agriculture; შპს ბიელთი BLT	404957212; 404950932; 404910548; 202461816; 206287230; 205184897; 205149418; 404393170; 404950950; 404950941; 404936450	გენერალური დირექტორი; განმცხადებელი; დირექტორი; განმცხადებელი; განმცხადებელი; განმცხადებელი; პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; გენერალური დირექტორი; გენერალური დირექტორი; პარტნიორი
101	ირაკლი ლეჟინაძე	2,500	საქართველო არ იყიდება	404951735	გამგეობის წევრი
102	გიორგი ქსოვრელი	60,000	შპს Food Import; შპს სი ფუდი	406057216; 202307789	პარტნიორი; ხელმძღვანელი-წარმომადგენელი,ერთპიროვნულად/პარტნიორი
103	შოთა აბულაძე	60,000	შპს Georgian Fish	417877523	დირექტორი/პარტნიორი
104	დავით ღუგლაძე	60,000	შპს ღუგლაძეების ღვინის კოლექცია	406073993	პარტნიორი
105	ზაზა გორდემიანი	10,000	შპს ბორან მაინინგი	204530953	პარტნიორი
106	დავით გულელაძე	5,000	შპს კრისტალ სერვისი	401968000	პარტნიორი
107	დავით გუთიაშვილი	10,000	შპს ნეთსფეისი	404926005	პარტნიორი
108	ივანე იოსელიანი	3,000	შპს დიდუბის მარკეტი	401951777	წარმომადგენელი/დირექტორი

109	კონსტანტინე ჯანანაშვილი	5,000	შპს ს&ბ ელექტრიკი; შპს დაკო	404890784; 404892425	დირექტორი; პარტნიორი
110	შოთა ფუტყარაძე	5,000	შპს ტრანსპორტოეიშენ; შ.პ.ს. "ლემანი-2006"; შპს ლუნიკა 2011; შპს ერთობა; შპს ბათუმი პროვაიდერი; შპს მიქა-2011; შპს როინი-2011; შპს ალენიკა; შპს გ.გ.გ.-2011; შპს ბაჩო; შპს გიბ-2011; შპს ტაო-2011; შპს ანაბა 2011; შპს ლუნიკა 2011; შპს ლუნიკა 2011	445413892; 245570485; 445395616; 445397179; 445397160; 445397204; 445397151; 445397142; 445397133; 445397197; 445397188; 445397124; 445397115; 445397106; 445395616	დირექტორი; ხელმძღვანელი, წესდებით გათვალისწინებით/პარტნი ორი; განმცხადებელი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი;
111	ბახვა სკამკოჩაიშვილი	20,000	შპს ლევომეტალი	205282362	წარმომადგენელი/დირექ ტორი/პარტნიორი
112	ნორაირ მკოიან	55,000	შპს მეეკი	236684469	დირექტორი/პარტნიორი
113	ბესიკ აქულაშვილი	59,000	შპს ტექნოსიტი	425357874	დირექტორი/პარტნიორი
114	ზაზა ზაზაშვილი	7,000	როტაფარმ ლიმიტედის წარმომადგენლობა	404895486	დირექტორი
115	თამაზი მერებაშვილი	59,000	შპს თიემთი	232554688	დირექტორი/პარტნიორი
116	ნიკოლოზ პატარიძე	15,000	შპს აა პლასტი	206271826	პარტნიორი
117	ნიკოლოზ მენტეშაშვილი	50,000	შპს ზიმ გრუპ ჯორჯია; შპს კრედიტსერვისჯორჯია	404874338; 443855071	დირექტორი/პარტნიორი; პარტნიორი
118	ბეჟან გონაშვილი	60,000	შპს დალის მთა+	428518516	დირექტორი/პარტნიორი
119	ჟორა მაჭანკალაძე	36,000	სახელმწიფო საწარმო მაღაზია "ხვამლი" (გ.გ.პ)(ლ იკვ)	103812643	პარტნიორი
120	რომანი აბრამიშვილი	7,000	შპს გეო ბილდ გრუპ; შპს გ & კ ტექნოლოგი	424066101; 425357295	განმცხადებელი; დირექტორი/პარტნიორი
121	გია ტაბატაძე	13,000	შპს გეოუკრ-ენერგო; შპს შაორი 2012	216454334; 400055783	დირექტორი; პარტნიორი
122	შალვა თოდრია	1,500	შპს მარნეულის სასურსათო ქარხანა	234232960	დირექტორი

123	მუხრან ქაშადაძე	10,000	შპს აზერ რამან კო; შპს BLG Group	205289748; 404932356	განმცხადებელი; დირექტორი
124	პავლე ბათმანაშვილი	5,000	შპს ემპა კომპანი; შპს ბიარ ვორლდი	422717199; 424065255	განმცხადებელი; დირექტორი/პარტნიორი
125	ბესიკი ბრეგაძე	10,000	შპს კომფორტი; შპს შპს	212681301; 412673548	განმცხადებელი; პარტნიორი
126	იოსებ სხირტლაძე	2,000	შპს ტრანს რადიო-ოპტიკა; შპს TV სუპერი	205291389; 404396257	პარტნიორი; პარტნიორი
127	მურად წკრიალაშვილი	60,000	შპს მედინვესტ ჯორჯია	404852628	პარტნიორი
128	თენგიზ კაპანაძე	15,000	ქართულ-უკრაინული საქმიანი კლუბი	404899099	გამგეობის წევრი
129	კობა ბებია	10,000	შპს კ.კ.კ. & კომპანი; შპს დასავლეთ აღმოსავლეთის ლოჯისტიკური კომპანია	415080076; 415081413	განმცხადებელი; პარტნიორი
130	მიხეილ ჩარკვიანი	5,000	შპს არენა; შპს გუდვილი	445411331; 206343991	დირექტორი; გენერალური დირექტორი
131	კახაბერ ბრეგვაძე	10,000	შპს გლობალ ელექტრონიქსი; შპს მასტერ სერვისი; შპს ბიოტაგერი; შპს გლობალ მიქსი; შპს გლობალ ადმინისტრატორი	412672013; 412680772; 412680745; 412672013; 212884743; 412677296	დირექტორი/პარტნიორი; პარტნიორი; პარტნიორი; პარტნიორი/ხელმძღვანე ლი, ერთპიროვნულად; პარტნიორი
132	რობერტი გვაზავა	17,000	შპს კავტრექსფოთი; შპს ინტერმოდალ სერვისი; შპს ბესტტრანს ფოთი	215080150; 404925961; 415083992	გენერალური დირექტორი; პარტნიორი; პარტნიორი
133	გიმერი ბერძნაშვილი	56,000	შპს შპს ჯორჯია	417875053	პარტნიორი
134	ნუგზარ შოშიაშვილი	40,000	შპს იბერალი	206347997	პარტნიორი
135	ირაკლი ვეკუა	1,100	შპს აისბერგი 2	215127725	დირექტორი
136	თეიმურაზ გოგოხია	15,000	შპს ჯეოდაფნა; შპს ევრონათი; ექსპოჯორჯია და კომპანია	404926746; 220415735; 220386963	პარტნიორი; განმცხადებელი; დირექტორი/პარტნიორი
137	მამუკა ონეზაშვილი	3,000	შპს ფინანსური ნდობის ჯგუფი	400020945	პარტნიორი
138	გიორგი ულენტი	10,000	შპს ჯი და ჯეი თრეიდ; შპს იუნაითიდ გრუპ	204574424; 404885273	განმცხადებელი; პარტნიორი
139	არჩილ ჯაყელი	3,000	შპს Its STUDIO	404411640	პარტნიორი
140	ზურაბ ნეფარიძე	30,000	შპს ემ ეს ელ ჯორჯია; შპს ვოლდფაუნდ უნივერსალი; შპს ლექსტონ ვოლდფაიდი; შპს ფორმონდ	406060587; 404933505; 404933523; 404929468; 406048012	განმცხადებელი; განმცხადებელი; დირექტორი; დირექტორი; დირექტორი

			უნივერსალი; შპს ლაბეი დეველოპმენტი		
141	მერაბი გიორგაძე	30,000	შპს სატურნი 2006	226572456	პარტნიორი
142	ზურაბ გაბინაშვილი	40,000	ირმა გაბინაშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდი ახალი ნათება	400035948	გამგეობის წევრი
143	ილია კეკელიძე	5,000	შპს ლიტ ჯგუფი; შპს პალადა; შპს ტრანსი	404423414; 205180472; 404897858	განმცხადებელი; პარტნიორი; პარტნიორი
144	ტარიელ გვალია	5,000	შპს ველსტენდ ენდ ერფოლგ; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება	205286484; 404885228	პარტნიორი; გამგეობის წევრი
145	თეიმურაზ დოლიძე	10,000	შპს ბელუქსი	205185459	პარტნიორი
146	ლევან შერვაშიძე	45,000	შპს გოლდ სტარ	455506014	პარტნიორი
147	შალვა გიგაია	10,000	შპს GORKEM; შპს კალა ინვესტი; საფინანსო საინვესტიციო ფირმა ჯეონიანი ინვესტი; შპს თ & რ დისტრიბუშენ; შპს IGU group	401961524; 202337408; 202325705; 202311738; 404875051	განმცხადებელი; განმცხადებელი; წარმომადგენელი; განმცხადებელი; დირექტორი
148	შალვა ერისთავი	55,000	შპს იბერია დისტრილერი; შპს სტორი ფაუერი; შპს ბიზნეს ცენტრი კავკასიონი	254406913; 406073421; 231279023	განმცხადებელი; პარტნიორი; პარტნიორი
149	რატი კაკაბაძე	25,000	შპს ქროსროუდ თრეიდინგი	404863279	განმცხადებელი; დირექტორი
150	მალხაზ კურტანიძე	60,000	შპს კლიმა ვენტი	400017236	პარტნიორი
151	ალექსანდრე წულაია	5,000	ფორვარდინგ სერვის კომპანი	215141004	ხელმძღვანელი, ერთპიროვნულად/პარტნიორი
152	ივანე გაგუა	15,000	შპს მაკრო-პრიმი	200223953	პარტნიორი
153	დავით მაისურაძე	3,000	შპს ვაინმენ საქართველო	404911128	პარტნიორი
154	ნათელა თურნავა	35,000	შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი; შპს ენერგოექსპორტი	205138493; 205146359	აღმასრულებელი დირექტორი; დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
155	თენგიზ მეზურიშვილი	60,000	შპს იბერულა	404883391	პარტნიორი
156	ეკატერინე ჩხაბერიძე	60,000	შპს გუდვილი	206343991	დირექტორი

157	სერგო ტატარაშვილი	5,000	შპს კავტრექსფოთი	215080150	პარტნიორი
158	გიორგი მუმლაძე	57,000	შპს H & C; შპს MUMOILI	433101136; 433101127	დირექტორი/პარტნიორი; დირექტორი/პარტნიორი
159	ლევან გამცემლიძე	9,000	შპს მეტალიმპექსი	404852664	პარტნიორი
160	დავით ალაფიძე	15,000	შპს ნ.ფ.პ.	200276441	განმცხადებელი;პარტნიორი
161	რევაზ ვაშაკიძე	60,000	შპს აბიფარმი	404381316	პარტნიორი
162	გიორგი მალრაძე	30,000	შპს ქართული; შპს დადიანის 22; შპს ირაო დეველოპმენტო; შპს ირაო მაგნატ გუდიაშვილი	404411098; 204570400; 204531523; 404893558	განმცხადებელი;განმცხად ებელი;განმცხადებელი;პა რტნიორი
163	მამია ჯანაშია	5,000	შპს ზანა-ეკო	439860367	პარტნიორი
164	გიორგი ზაქარაია	15,000	შპს ვორლდნათსი	419984404	პარტნიორი
165	ლაშა სხიერელი	30,000	შპს ბერლინი	205178939	პარტნიორი
